შპს „არქსტუდიო“

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა

ქალაქი თბილისი, დასახლება ზემო ფონიჭალა

კორპუსი 20, მიმდებარედ (ნაკვეთი 37/017);

შპს „პერსპექტივა“-ს

საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების

(საკ.კოდი 01.18.13.037.231; 01.18.13.037.232 და 01.18.13.037.233)

საინჟინრო-გეოლოგიური პირობები

დირ : ზ.ნაზღაიძე



თბილისი

2023 წ

სარჩევი:

1. სარჩევი ---- 2
2. ფოტომასალა - 3-4
3. ტექნიკური დავალება ---- 5
4. მიწერილობა ------ 6
5. საერთო ნაწილი, შესავალი ----7
6. ზოგადი ნაწილი ----8
7. სამშენებლო კლიმატოლოგია ----10
8. სპეციალური ნაწილი ----12
9. დასკვნები და რეკომენდაციები ----16
10. გამოყენებული ლიტერატურა ----19
11. გრუნტების ლაბორატორიული კვლევის შედეგები

დანართები:

1. სამთო გამონამუშევართა განლაგების სქემა;
2. გამონამუშევრების ლითოლოგიური ჭრილები;
3. საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები;









სარჩევი:

12. ტექნიკური დავალება ----3
13. საერთო ნაწილი, შესავალი ----4
14. ზოგადი ნაწილი ----5
15. სამშენებლო კლიმატოლოგია ----8
16. სპეციალური ნაწილი ---- 10
17. დასკვნები და რეკომენდაციები ----16
18. გამოყენებული ლიტერატურა ----21

დანართები:

4. გრუნტის ლაბორატორიული კვლევის მასალები;
5. სამთო გამონამუშევართა განლაგების სქემა;
6. გამონამუშევრების ლითოლოგიური ჭრილები;
7. საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი;

ტექნიკური დავალება

საინჟინრო გეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად

ობიექტის დასახელება – სამი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი;

დამკვეთი – შპს „პერსპექტივა“;

ობიექტის მდებარეობა – ქალაქი თბილისი, დასახლება ზემო ფონიჭალა
კორპუსი 20, მიმდებარედ (ნაკვეთი 37/017)
(საკ.კოდი 01.18.13.037.231; 01.18.13.037.232 და 01.18.13.037.233)

დაპროექტების სტადია – სამუშაო დოკუმენტაცია;

მშენებლობის ტიპი – ახალი;

შენობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით (ГОСТ 27751-88) – მეოთხე;

შენობების სართულიანობა – 11 სართული;

ობიექტის ტექნიკური დახასიათება – რკინა/ბეტონის კარკასი, ბეტონის ბლოკით შევსება;

საძირკვლის სავარაუდო ტიპი – დადგინდება საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შემდეგ;

საპროექტო სავარაუდო დატვირთვა თითოეული შენობის საძ.-ის ფუძეზე 1000კნ;

საველე სამუშაოები – გაყვანილი იქნას 5 ჭაბურღილი, თითოეული სიღრმით 15,0 გრძ.მ;

მოთხოვნა – დადგინდეს სამშენებლო მოედნის ტერიტორიაზე გრუნტების გეოლოგიური მდგომარეობა (ფენის სიმძლავრე, გრუნტის წყლის მონაცემები-არსებობის შემთხვევაში), აგრეთვე დადგინდეს გრუნტის ამგები ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები: სიმკვრივე, ბუნებრივი ტენიანობა, დენადობის მაჩვენებელი, ფორიანობის კოეფიციენტი, დეფორმაციის მოდული, ხახუნის კუთხე, საანგარიშო წინაღობა, ხვედრითი შეჭიდულობა, საგების კუთხე, პუასონის კოეფიციენტი. ჩატარდეს კლდოვანი ქანების გამოცდა ერთღერძა კუმშვაზე;

საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ტექნიკური დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნეს აკინძული 1 ეგზემპლარად და ელექტრონულ ვერსიაში.

ტექნიკური დავალება გასცა: კონსტრუქტორი: თ.მამალაძე;

მიწერილობა

წინამდებარე მიწერილობა შედგენილია ს.ნ. და წ. 1.02.07-87 „მშენებლობის საინჟინრო კვლევები"-ს 1.19 პუნქტის მეორე შენიშვნის და 1.22 პუნქტის, აგრეთვე პნ 02.01-08 (შენობების და ნაგებობების ფუძეები) და სნ და წ 2.02.03-85-ის (ხიმინჯოვანი საძირკვლები) მოთხოვნების საფუძველზე/

ს.ნ. და წ. 11-105-97 „სამუშაოთა წარმოების საერთო წესები"-ს მოთხოვნათა შესაბამისად განისაზღვრა სამთო გამონამუშევრების სახე, სიღრმე და სიხშირე, ასევე განისაზღვრა საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის ხარისხი.

ტექნიკური დავალების თანახმად, მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე, გათვალისწინებულია სამი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია თანდართულ ტექნიკურ დავალებაში.

მიზნობრივი დანიშნულების შესაბამისად კვლევის წინაშე დასმულია შემდეგი ამოცანები:

1.საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესწავლა;

2.გრუნტის ფიზიკო-მექანიკური თვისებების შესწავლა;

3.საკვლევ უბანზე და მის მიმდებარედ ტერიტორიაზე მოქმედი გეოლოგიური პროცესების გამოვლინება და მათი პროგნოზირება;

4.საკვლევ უბანზე მოსალოდნელი საინჟინრო-გეოლოგიური პროცესების განვითარების პროგნოზირება.

დასახული ამოცანების გადასაწყვეტად ს.ნ. და წ. 1.02.07-87 „მშენებლობის საინჟინრო კვლევები"-ს მოთხოვნათა შესაბამისად უნდა ჩატარდეს შემდეგი სამუშაოები:

1.საკვლევი უბნის ტოპო-გეოდეზიური დაგეგმა 1:500 მასშტაბში;

2.არსებული ფონდური მასალის შეგროვება, დამუშავება

3.საკვლევი მოედნის და მიმდებარე ტერიტორიის რეკოგნოსცირება;

4. საკვლევი მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური აგეგმვა;

5. სამთო გამონამუშევრების გაყვანა;

6. გრუნტის დასინჯვა და სინჯების ეღება;

7. გრუნტის სინჯების ლაბორატორიული გამოცდა და მონაცემთა დამუშავება;

8. კამერალური სამუშაოების ჩატარება;

9. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის შედგენა;

1. საერთო ნაწილი
შესავალი

2022 წლის დეკემბერი-2023 წლის იანვარში,, ქალაქი თბილისი, დასახლება ზემო ფონიჭალა, კორპუსი 20, მიმდებარედ (ნაკვეთი 37/017), (საკ.კოდი 01.18.13.037.231; 01.18.13.037.232 და 01.18.13.037.233), სამი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის შენობის მშენებლობის საჭიროებისათვის ჩატარებული იქნა საინჟინრო გეოლოგიური კვლევა, მათ შორის:

- საველე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევითი სამუშაოები ჩატარდა 29-30 დეკემბერს;
- ლაბორატორიული კვლევითი სამუშაოები 29.12.2022- დან 05.01.2023 - 09.01.2023 ჩათვლით;
- საველე და ლაბორატორიული კვლევის მასალების კამერალური დამუშავება და ანგარიშის შედგენა 2023 წლის 11-13იანვარს;

კვლევის მიზანს შეადგენდა მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობების დადგენა, მოედნის ამგები გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესწავლა და უბანზე რაიმე საშიში გეოლოგიური მოვლენის შეფასება.

საპროექტო ადგილი მდებარეობს ქალაქის გარებანში, თბილისი-მარნეულის გზის მარცხენა მხარეს. ნაკვეთის მიმდებარედ არის გაშენებული ზემო ფონიჭალას საცხოვრებელი კვარტალი. დავალების თანახმად პროექტირდება 3 შენობა, 10 სართული, 9 მიწის ზედა, 1 მიწისქვეშა. შენობის ტიპი კარკასული.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შეფასების მიზნით დათვალიერდა საპროექტო ადგილი და მიმდებარე ტერიტორია. ნაკვეთის რელიეფი მცირე ქანობიანია, ზოგ ადგილას ძველი სამშენებლო ქვაბულებია. ტოპოგეგმის მიხედვით, აბსოლუტური ნიშნულები 441,00-444,00-მ-ის ფარგლებში იცვლება. ნაკვეთს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება მისასვლელი გზები, დანარჩენი მხრიდან კერძო საკუთრების მიწის ნაკვეთებია.

დამკვეთის მიერ გადმოცემული ტექნიკური დავალების გათვალისწინებით, პროექტის მთავარი კონსტრუქტორის მითითებულ ადგილებში გაყვანილი იქნა 5 სამთო გამონამუშევარი-ჭაბურღილი, ჭაბურღილების ბურღვა მიმდინარეობდა მექანიკურ-სვეტური მეთოდით, საბურღი დანადგარით УРБ-2А-2, 112-131 მმ დიამეტრით, სვეტური წესით, შემოკლებული რეისებით, კერნის უწყვეტი ამოღებით. სამთო ნამუშევრების საერთო სიგრძემ შეადგინა 75,0 მეტრი, მათ შორის თითოეული ჭაბურღილის სიგრძე 15,0 გრძ.მეტრი. სამთო გამონამუშევრების გაყვანის დროს ხდებოდა გრუნტების დასინჯვა. ნიმუშების აღების შემდეგ, რორც ამას ნორმები მოითხოვს, სამთო განაბურღები ამოვსებული იქნა განაბურღი გრუნტით;

კვლევები ჩატარებულია საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სამშნებლო წესები და ნორმები) მოთხოვნათა შესაბამისად - ს.ნ. და წ. 1.02.07-87 (საინჟინრო

გამოკვლევები მშენებლობისათვის), ს.ნ. და წ. 2.02.01-83 (პნ 02.01-08) შენობების და ნაგებობის ფუძეები, ს.ნ. და წ. (პნ 01.01-09) სეისმომედეგი მშენებლობა, ს.ნ. და წ. IV-5-82 ს.ნ. და წ. 3.02.01-87 (მიწის ნაგებობები, ნაგებობათა ფუძეები და საძირკვლები) ს.ნ. და წ. 2.03.11-85 (სამშენებლო კონსტრუქციების კოროზიისაგან დაცვა) სახსტანდარტი 25100-82 (გრუნტების კლასიფიკაცია).

ჩატარებული საველე სამუშაოების და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების გამოყენებით შედგენილია წინამდებარე დასკვნა, რომელშიც გამოყენებულია გარემოს ეროვნული სააგენტოს, გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ შედგენილი ანგარიში: „ქ.თბილისის ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები და გეოლოგიური საფრთხეების შეფასება“, გ.ჯაფარიძის „თბილისის საინჟინრო გეოლოგია“.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები და მონაცემთა კამერალური დამუშავება ჩატარებული იქნა ინჟინერ-გეოლოგ ზ. ნაზღაიძის მიერ.

2, ზოგადი ნაწილი

გეომორფოლოგიურად, საკვლევი უბანი, მსხვილი გეომორფოლოგიური ერთეულების მიხედვით მიეკუთვნება საქართველოს მთათაშორისი დადაბლების ზონის ქვემო ქართლის დეპრესიის მარნეული-გარდაბნის ვაკეს, რომლისთვისაც დამახასიათებელია ვაკე ბორცვნალი ლანდშაფტი, ნახევრად კონტინენტური მშრალი ჰავით, წაბლა ნიადაგებით, სტეპური და ტყესტეპური მცენარეულობით. კონკრეტულად, კი ტერიტორია მდ. მტკვრის ხეობის ფსკერულ ნაწილს წარმოადგენს. კერძოდ, მდ. მტკვრის II ჭალისზედა ტერასისა და მისი კალაპოტის საკონტაქტო ზოლს.

ტექტონიკურად საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის ერთ-ერთი განშტოების, - თელეთის ანტიკლინის აღმოსავლეთ დაბოლოებას. მისი განედური მიმართულების ღერძი თელეთის ქედიდან აღმოსავლეთით თანდათან იძირება და ორხევის მიდამოებში ნაოჭის გაშლასთან ერთად შეუმჩნეველი ხდება. ნაოჭის თაღურ ნაწილში შუა ეოცენი შიშვლდება, ხოლო ფრთები ზედა ეოცენით არის წარმოდგენილი. ანტიკლინის ჩრდილო ფრთის დაქანების კუთხე 15-25 გრადუსია, სამხრეთი ფრთის – 50-60 გრადუსი. სამხრეთ ფრთაზე აღინიშნება აგრეთვე ორი მცირე მეორადი ნაოჭიც. არსებული გეოლოგიური მასალების მიხედვით, ტერიტორიაზე და მიმდებარე ზონაში რაიმე მნიშვნელოვანი წყვეტითი დისლოკაცია არ აღინიშნება.

გეოლოგიური თვალსაზრისით ტერიტორია წამოდგენილია ზედა ეოცენის (P23), ოლიგოცენისა (P3) და ქვედა მიოცენის (N11) ქანებით, - ქვიშაქვებით, შრეებრივი, მაგარი კონსისტენციის თიხებით, არგილიტებითა და ალევროლიტებით. ქანების წყებები ზევიდან გადაფარულია სხვადასხვა გენეზისის მეოთხეული გრუნტების ცვალებადი სისქის ფენებით,

მათ შორის ხელოვნური ნაყარი გრუნტებით, დელუვიურ-პროლუვიური თიხოვანი გრუნტებით და ალუვიური ხრეშოვანი და თიხოვანი ნალექებით;

ჰიდროგეოლოგიური პირობების მიხედვით საკვლევი რაიონი წარმოადგენს აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის აღმოსავლეთ დაძირვის უბანს, სადაც მიწისქვეშა წყლების ზონალობის მიხედვით გამოიყოფა არაღრმა ცირკულაციის გრუნტის წყლები და ღრმა ცირკულაციის დაწნევითი წყლები. გრუნტის წყლები გავრცელებულია ძირითადი წყალშემცველი კომპლექსების გამოფიტვის ზონაში, ხოლო დაწნევითი წყლები მათ ნაპრალებში და ფენებში. გამოკვლევის დროს მიწისქვეშა წყლების ბუნებრივი გამოსავლები წყაროს ან ნაჟურის სახით არ დაფიქ-სირებულა. საფონდო მონაცემებით, საკვლევ უბანზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, გრუნტის წყლები ღრმად არიან განლაგებული და მშენებლობისათვის ისინი რაიმე ხელისშემშლელ პირობებს არ ჰქმნიან

სეისმურობა

საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტის 01.01.09 – "სეისმომედეგი მშენებლობა"-ს თანახმად, საქართველოს სეისმური დარაიონების კორექტირებული სქემის მიხედვით საკვლევი უბანი მიეკუთვნება 8 ბალიან მიწისძვრების პროგნოზირებად ზონას, ხოლო მიწისძვრების ტალღების მაქსიმალური ჰორიზონტალური აჩქარების (სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი) მახასიათებელი საკვლევ უბანზე: – 0,17;

სამშენებლო კლიმატოლოგია:

საკვლევი უბნის კლიმატი არის ზომიერად კონტინენტური ზომიერად ცივი ზამთარი, ცხელი ზაფხული და და ზომიერი სინოტივე. კლიმატი საერთო ჯამში ზომიერია და კარგ პირობებს ქმნის მშენებლობისათვის. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურაა 12.7^0c, ყველაზე ცივი თვეა იანვარი, საშუალო ტემპერატურით 0.8^0c. ყინვები შეიძლება დაიწყოს ნოემბერში და გაგრძელდეს აპრილამდე. აბსოლუტური მინიმუმი -23^0c. ყველაზე თბილი თვეებია ივლისი და აგვისტო, საშუალო ტემპერატურით 24.4-24.6^{0}c.

ნალექები წლის განმავლობაში შედარებით არათანაბრადაა განაწილებული და დიდ საზღვრებში მერყეობს. ნალექებით უფრო უზრუნველყოფილია გაზაფხული და ზაფხულის დასაწყისი. მინიმუმია ზამთარში და ზაფხულის მეორე ნახევარში. ნალექიან დღეთა რიცხვი წელიწადში საშუალოდ არის 108. ნალექების დღეღამური მაქსიმუმია 132 მმ. მაქსიმალური რაოდენობა მოდის მაისში, მინიმალური კი იანვარში, მეორე მინიმუმი

აგვისტოშია. თოვლი შესაძლებელია მოვიდეს აპრილამდე. ჰაერის ფარდობითი ტენიანობის საშუალო წლიური მაჩვენებელია 66%. ძირითადი მაქსიმუმი მოდის შემოდგომის ბოლოში და ზამთრის დასაწყისში (72-76%), მინიმუმი (56-61%) კი ზაფხულის დღეებზე.წელიწადში საშუალოდ 48 დღე გამოირჩევა მაღალი (80%) ტენიანობით, ხოლო მათი მაქსიმალური რაოდენობაა 71. წლის განმავლობაში უბანზე გაბატონებულია ჩრდილო-დასავლეთის და დასავლეთის ქარები.

-იანვრის თვის საშუალო ტემპერატურა ----------0.დან +2-მდე;

-ივლისის თვის საშუალო ტემპერატურა ---------- +25-ფან +28-მდე;

-წლის საშუალო ტემპერატურა ----------13.^{0}

-წლის აბსოლუტური მინიმუმი ---------- -24.^{0}

-წლის აბსოლუტური მაქსიმუმი ---------- 41.^{0}

-ნალექების წლიური როდენობა ---------- 550 მმ

-ნალექების დღე-ღამური მაქსიმუმი ---------- 142 მმ

-თოვლის საფარის წონა ---------- 0.50 კპა

-თოვლის საფარის დღეთა რიცხვი ---------- 14 დღ

- ქარის უდიდესი სიჩქარის შესაძლებლობა 1, 5, 10, 15 და 20 წლიანი

- განმეორადობით ----------25, 29, 31, 32 და 33 მ/წმ;

- გრუნტის სეზონური ჩაყინვის სიღრმე ----------0 სმ

კლიმატური მონაცემები აღებულია საქართველოს სამშენებლო კლიმატოლოგიური ნორმიდან - პნ 01.05-08, ქ. თბილისი-ფონიჭალისა და ქ. რუსთავის მეტეოპუნქტების მონაცემების შესაბამისად. აღნიშნული ნორმის ცხრილ 2-ში მოცემული ძირითადი მახასიათებლების მიხედვით, საპროექტო გზის განლაგების ტერიტორია მიეკუთვნება IIIგ ქვერაიონს. კლიმატური მახასიათებლები მოყვანილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში.

3. სპეციალური ნაწილი

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული ანალიზის შედეგად, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში დაღმავალი ჭრილით დაძიებულ სიღრმემდე (-15,00 მ) გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

ფენა 1 - ნაყარი გრუნტი, (tQIV);

ფენა 2 - თიხოვანი გრუნტი (dQIV);

ფენა 3 - ძირითადი ქანები, მესამეული ასაკის - ზედა ეოცენის (P^3_2) ძლიერ გამოფიტული არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა;

ფენა 4 - ძირითადი ქანები, მესამეული ასაკის - ზედა ეოცენის (P^3_2) ნაკლებად გამოფიტული არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა;

3.1 გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

ფენა 1 - ნაყარი გრუნტი, (tQIV) მოედნის სულ ზედა ფენა ნაყარით არის წარმოდგენილი. ნაყარი გრუნტი, ჰუმუსირებული ნიადაგის და ადგილობრივი თიხოვანი გრუნტის ნარევი, არაერთგვაროვანი, შეუკავშირებელი. ამ ფენას არ მიენიჭა სგე-ის ნომერი, რადგან იგი არ გამოიყენება ნაგებობების ქვეშ, ის მოიჭრება და გაიტანება სამშენებლო მოედნიდან, ამიტომ მისი თვისებები არ დასინჯულა.

ფენის სიმძლავრე – 1,00 მეტრია;

სამშენებლო მოედნის შემდეგი ფენა წარმოდგენილია:

ფენა 2 - თიხოვანი გრუნტი, დელუვიური წარმოშობის (dQIV), მოყვითალო-ღია ყავისფერი, სიღრმის მატებასთან ერთად ღორღის ჩანართებით;

ქვემოთ №2 ცხრილში მოყვანილია ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად მიღებული დაურღვეველი სტრუქტურის გრუნტის ფიზიკური თვისებების ძირითადი მახასიათებლების პარამეტრების ცვალებადობის დიაპაზონი და საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები.

№№	ფიზიკური მახასიათებლები			განზ.	მიღებულ სიდიდეების დიაპაზონი	საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობა
					ფენა 2	ფენა 2
1	პლასტიკურობის რიცხვი		I_p	ერთ.ნაწ	14,7-19,58	**17,9**
2	ტენიანობა		**W**	%	18,5-23,5	**21,2**
3	სიმკვრივე	გრუნტის	ρ	გ/სმ³	1,90-1,85	**1,93**
		მშრალი გრუნტის	ρ_d		1,54-1,63	**1,59**
		გრუნტის ნაწილაკების	ρ_s		2,71-2,72	**2,72**
4	ფორიანობა		**n**	-	40,10-43,10	**41,42**

5	ფორიანობის კოეფიციენტი	**e**	–	0,574-0,757	**0,701**
6	დენადობის მაჩვენებელი	$\mathbf{I_L}$	–	-0,08-0,21	**0,05**
7	ტენიანობის ხარისხი	$\mathbf{S_r}$	–	0,75-0,84	**0,81**
8	ტენიანობა დენადობის ზღვარზე	$\mathbf{W_L}$	ერთ.ნაწ	36,87-39,75	**38,02**
9	ტენიანობა პლასტიკურობის ზღვარზე	$\mathbf{W_p}$	ერთ.ნაწ	19,32-22,14	**20,16**

როგორც ცხრილიდან ჩანს, გამოკვლეული გრუნტი მიეკუთვნება მყარი და ნახევრად მყარი კონსისტენციის თიხებს $\mathbf{I_L}$=0,05 და $\mathbf{I_p}$ = 17,9;

ტენიანობის ხარისხით გრუნტი წყალგაჯერებულია $\mathbf{S_r}$=0,81

თიხებზე ჩატარდა კომპრესიული გამოცდები, 0,5 კგძ/სმ2 დატვირთვის საფეხურებით, P=4,0 კგძ/სმ2-მდე ვერტიკალურ დატვირთვებამდე აყვანით. ცდები შესრულდა ბუნებრივი სიმკვრივის და ტენიანობის ნიმუშებისთვის. დასაპროექტებელი შენობების საძირკვლებიდან მოსალოდნელი მაქსიმალური დატვირთვის გათვალისწინებით (P=2,0 კგძ/სმ2), გრუნტს მიეწოდა წყალი.

ცდების მონაცემები ასახულია შესაბამის გრაფიკებზე და ერთვის დასკვნას.

დეფორმაციის მოდულის საშუალო მნიშვნელობა, დატვირთვების საწყის ინტერვალში ტოლია ქვემოთ ცხრილი #2-ში.

##	ჭაბურღილი ###	ნიმუშების აღების სიღრმე,	ლაბ, # გრაფიკის #	დეფორმაციის მოდული E კგძ/სმ2 P=0,05-2,00 კგძ/სმ2 დატვირთვისას
1	1	4,0	1,1	20153
2	3	4,0	3,1	22322
3	4	6,0	4,1	19253
საშუალო				**20576**

E= 21 მპა (**210** კგძ/სმ2).

ეს მნიშვნელობა მიღებული იქნება საანგარიშოდ.

თიხებისთვის ჩატარდა ძვრაზე გამოცდა 1,0-2,0-3,0 კგძ/სმ2 ვერტიკალურ დატვირთვებზე და მიღებულია შემდეგი მნიშვნელობები:

- ხვედრითი შეჭიდულობა **C= 59 კპა** (**0,59** კგძ/სმ2)
- შინაგანი ხახუნის კუთხე **φ° = 19,5⁰**

გამოცდების შედეგები ასახულია ძვრის გრაფიკებზე და ერთვის დასკვნას.

პირობითი საანგარიშო წინაღობის მნიშვნელობები აღებულია ს.ნ. და წ. ”შენობების და ნაგებობების ფუძეები” პ.ნ.02.01.08 დანართი №3 ცხრილის მიხედვით და შეადგენს

$$\mathbf{R_0=3,0\ კგძ/სმ^2}$$

მექანიკური მახასიათებლების საანგარიშო მონაცემები მოცემულია ქვემოთ ცხრილი #3-ში.

№ №	გრუნტის მახასიათებლები	საანგარიშო (ნორმატიული) მნიშვნელობები
		(ფენა 2)
1	სიმკვრივე ρ გ/სმ^3	1,93
2	ხვედრითი შეჭიდულობა c კპა (კგძ/სმ^2)	59 (0.59)
3	შინაგანი ხახუნის კუთხე φ°	19,5^0
4	**დეფორმაციის მოდული E მპა (კგძ/სმ^2)**	**21 (210)**
5	**პირობითი საანგარიშო წინაღობა R_0 კპა (კგძ/სმ^2)**	**300 (3,0)**

აღნიშნული ფენა გამოყოფილია, როგორც საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი - **სგე 1.**

ფენის სიმძლავრე -1,00-მ-დან -12,50 - მეტრამდე;

მოედნის შემდეგი ფენა:

ფენა 3 - წარმოდგენილი არის ძირითადი ქანებით, მესამეული ასაკის - ზედა ეოცენის (P^3_2) ძლიერ გამოფიტული არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობით. ძლიერ გამოფიტულ მორიგეობაში კარგად გამოიყოფა გამოფიტვის სულ ზედა ქვეზონა - წვრილდისპერიული. ქანები ძლიერ გამოფიტულია – დანაწევრებულ-დაშლილია (ქანის მთლიანობა დარღვეულია) და განიხილება როგორც ძირითადი ქანის გამოფიტვის ქერქის ნატეხოვანი ზონა. აღნიშნული ზონიდან ნიმუშების აღება ვერ მოხერხდა მათი მსხვრევადობის გამო, ამიტომ მათი სიმტკიცის დასადგენად გამოყენებულია ლიტერატურული მასალა. (ძირითადად გ. ჯაფარიძე – ქ. თბილისის საინჟინრო გეოლოგიური პირობები). ვეყრდნობით რა, მათ შედეგებს, ძლიერ გამოფიტული არგილიტებისა და ქვიშაქვების პირობითი წინაღობა

R_0=3,0კგ/სმ2;

დეფორმაციის მოდული

E=300კგ/სმ2;

ფენის სიმძლავრე -12,50-მ-დან -14,50 - მეტრამდე;

აღნიშნული ფენა გამოყოფილია როგორც საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი – **სგე-2;**

მოედნის შემდეგი ფენა:

ფენა 3 - წარმოდგენილი არის ძირითადი ქანებით, მესამეული ასაკის - ზედა ეოცენის (P^3_2) სუსტად გამოფიტული არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობით. არგილითები ლითოლოგიურად თიხებითაა წარმოდგენილი. ეპიოგენური პროცესების შედეგად მათ სახე იცვალეს დიდი წნევისა და მაღალი ტემპერატურის პირობებში და გადავიდნენ ახალ სახეში ფიქლებში. საღი არგილითები მოლურჯო-მონაცრისფრო ფერით ხასიათდებიან, გამოირჩევიან საკამოდ დიდი სიმტკიცით (50-100)კგ/სმ2. გამოფიტვის შემთხვევაში ისინი სიმტკიცეს მკვეთრად კარგავენ. მათი გამოფიტვა სწრაფად ხდება,

ამიტომ თუ ქვაბული არგილითებითაა წარმოდგენილი, იგი ღიად დიდხანს არ უნდა დაიტოვოს, ვინაიდან როგორც ავღნიშნეთ ხდება მათი სწრაფად გამოფიტვა.

ქვიშაქვები საკვლევ ტერიტორიაზე, წარმოშობით არკოზულია. მისი ცალკეული მარცვლები შეცემენტებულია თიხით. ამიტომ მათ ხშირად თიხიან ქვიშაქვებს უწოდებენ. ქვიშაქვები არგილითებთან შედარებით გაცილებით მაღალი სიმტკიცით ხასიათდებიან, აქვთ მონაცრისფრო ფერი. ბუნებაში ორივე ქანი სხვადასხვა სისქის შრეობრიობით ხასიათდება. ჩვენს შემთხვევაში ორივე, როგორც არგილითები ისე ქვიშაქვები საშუალო სისქის შრეობრიობით ხასიათდებიან.

ძირითადი ქანების დაქანების აზიმუტი შეადგენს ჩდ 330-340^0, ხოლო დახრის კუთხე 20-25^0;

ძირითადი ქანების სიმტკიცის განსასაზღვრავად ჩატარებულია მათი გამოცდა სიმტკიცის ზღვარზე, ერთღერძა კუმშვის პირობებში. საფონდო მასალებიდან აღებული იქნა არგილიტების **R_c**-ს მნიშვნელობა, რომელიც ჰაერმშრალ მდგომარეობაში შეადგენს **R_c**=20 გძ/სმ3, ხოლო წყალგაჯერებულ მდგომარეობაში **R_c**=10 გძ/სმ3.

ლაბორატორიული ცდები ჩატარდა ქვიშაქვებისთვის. მოხდა მათი წნეხის ქვეშ გამოცდა. საშუალო შედეგები მოცემულია ცხრ. №4-ში.

სინჯის №	ჭაბურღილი №	სიღრმე, მ **H**	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე, მპა (კგძ/სმ^2)		დარბილების კოეფიციენტი **K_s**	დრეკადობის მოდული, წყალნაჯერ მდგომარეობაში, კგძ/სმ^2 **E_d**	სიმკვრივე, გ/სმ^3 **ρ**
			გამომშრალ მდგომარეობაში **R_{0d}**	წყალნაჯერ მდგომარეობაში, **R_{0w}**			
		საშუალო	**14,5**	**8,9**	**0,62**	**2230,37**	**2,36**

როგორც შედეგებიდან ჩანს, ძირითადი ქანები წარმოადგენენ ქვიშაქვებს და სიმტკიცის მიხედვით მიეკუთვნებიან ნაკლებად მტკიცე, საშუალო სიმტკიცის კლდოვან ქანებს. დარბილების კოეფიციენტი სამივე ნიმუშზე ნაკლებია 0,75-ზე, რაც ნიშნავს, რომ ძირითადი ქანები მიეკუთნებიან დარბილებად გრუნტებს.

6	საგების კოეფიციენტი K კგ/სმ^3	80
7	პუასონის კოეფიციენტი, μ	0.25

ვინაიდან ძირითად ქანებში არგილიტების რაოდენობა ქვიშაქვების რაოდენობის ტოლია, ამიტომ **R_k**-ს საშუალო საანგარიშო მნიშვნელობად ვღებულობთ:

R_k-საშუალო=(89,0+10.0) = 99,0:2 = 49,5 კგძ/სმ3

– საშუალო სიმკვრივე **ρ=2.36** გ/სმ^2;

ვინაიდან ლაბორატორიული გამოცდები სრულდება მცირე ზომის ნიმუშებზე, რაც ხშირ შემთხვევაში არ ასახავს რეალურ სურათს (ტექსტურულ-სტრუქტურულ თავისებურებები, შრეობრივობა, შრეების დახრა, შესუსტებული ფარული ზონები), ამიტომ მთლიანი მასივისთვის შეიძლება რეკომენდებული იქნეს

$R_к$ = 45,0 კგძ/სმ3

– საშუალო სიმკვრივე **ρ=2.36** გ/სმ$^{2;}$

ძირითადი ქანების დაქანების აზიმუტი შეადგენს ჩდ 330-340^{0}, ხოლო დახრის კუთხე 20-25^{0};

აღნიშნული ფენა გამოყოფილია როგორც საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი – **სგე-3;**

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან ავღნიშნავთ, რომ გრუნტის წყალი გამოკვლეულ სიღრმემდე არ დაფიქსირებულა.;

დასკვნები და რეკომენდაციები:

- საკვლევი ტერიტორია გეომორფოლოგიურად წარმოადგენს მცირე ქანობიანი რელიეფის მქონე ადგილს. ამჟამინდელი ვიზუალური დათვალიერების შემდეგ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რაიმე საშიში გეოლოგიური პროცესების (მეწყერი, ეროზია, კარსტი, ჩაქცევა) განვითარება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის მომავალი (ასაშენებელი) შენობის მდგრადობას მშენებლობისას ან ექსპლუატაციის პერიოდში, არაა მოსალოდნელი.
- სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ შედგენილი ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს გეოლოგიური საფრთხეების განვითარების დაბალი რისკის ზონაში. ჩატარებული დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგად დადგინდა, რომ მიწის ნაკვეთი მდგრადია და მასზე და მიმდებარე ტერიტორიაზე საშიში გეოლოგიური მოვლენები (მეწყერი, ღვარცოფი, სუფოზია და სხვა) განვითარებული არ არის.
- საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით, გამოკვლეული ტერიტორია დამაკმაყოფილებელ პირობებშია. ტერიტორია სნ და წ 1.02.07-87-ის მე-10 დანართის თანახმად, მიეკუთვნება – II კატეგორიას (საშუალოდ რთული);
- სამშენებლო მოედნის გეოლოგიური ჭრილში დაძიებულ (-15,00მ) გამოყოფილია გრუნტის შემდეგი ფენები:

ფენა – 1 – ნაყარი გრუნტი, (tQIV) მოედნის სულ ზედა ფენა ნაყარით არის წარმოდგენილი. ნაყარი გრუნტი, ჰუმუსირებული ნიადაგის და ადგილობრივი თიხოვანი გრუნტის ნარევი, არაერთგვაროვანი, შეუკავშირებელი. ამ ფენას არ მიენიჭა სგე-ის ნომერი, რადგან იგი არ გამოიყენება ნაგებობების ქვეშ, ის მოიჭრება და გაიტანება სამშენებლო მოედნიდან, ამიტომ მისი თვისებები არ დასინჯულა.

ფენის სიმძლავრე – 1,00 მეტრია.

ფენა - 2 - სგე 1 – თიხა, (dQIV), დელუვიური წარმოშობის (dQIV), მოყვითალო-ღია ყავისფერი, სიღრმის მატებასთან ერთად ღორღის ჩანართებით, მყარი და ნახევრად მყარი კონსისტენციის, წყალგაჯერებული;

- ფენის სიმძლავრე ნაყარის შემდეგ -1,00-მ-დან -12,50 მეტრამდეა.

ფენა 3 – სგე-2 - ძლიერ გამოფიტული, მესამეული ასაკის ზედა ეოცენის, სახეშეცვლილი ძირითადი ქანი, არგილიტების და ქვიშაქვების მორიგეობა,

ფენის სიმძლავრე ნაყარის შემდეგ -12,50-მ-დან -14,50 მეტრამდეა.

ფენა 4 – სგე-3 - ნაკლებად გამოფიტული, მესამეული ასაკის ზედა ეოცენის, ძირითადი ქანი, არგილიტების და ქვიშაქვების თხელშრეებრივი მორიგეობა,

ქანების დაქანების აზიმუტია: ჩდ 330-340^0, ხოლო დახრის კუთხე 20-25^0

- ქვემოთ #6 ცხრილში მოცემულია სამივე ს.გ.ე.–ს გრუნტების ფიზიკურ–მექანიკური მახასიათებლების პარამეტრების საანგარიშო მნიშვნელობები მიღებული როგორც ლაბორატორიული გამოკვლევებით, ასევე ს.ნ. და წ. „შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (ᲡᲜ 02.01-08)–ის დანართი 2-ს და 3-ს ცხრილების მიხედვით. აგრეთვე გამოყენებულია მეთოდიკა „Методика оценки прочности и сжимеемости крупнообломочных грунтов с пылеватым и глинистым заполнителем и пылеватых и глинистых грунтов с крупнообломочными включениями“ ДальНИИС Гостроя СССР 1989 г.

№№	გრუნტის მახასიათებლები	საანგარიშო (ნორმატიული) მნიშვნელობები		
		სგე 1	სგე 3	სგე 4
1	სიმკვრივე ρ გ/სმ^3	1,93	2,10	2,36
2	ხვედრითი შეჭიდულობა c კპა (კგძ/სმ^2)	59 (0.59)	-	-
3	შინაგანი ხახუნის კუთხე φ°	19,5^0	-	-
4	დეფორმაციის მოდული E მპა (კგძ/სმ^2)	21 (210)	30,0 (350)	-
5	პირობითი საანგარიშო წინაღობა R_0 კპა (კგძ/სმ^2)	300 (3,0)	300 (3,0)	-
6	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალნაჯერ მდგომარეობაში Rc კპა (კგ/სმ^2)	-	-	4500 (45.00)
7	საგების კოეფიციენტი, k კგ/სმ3	2,5	5,0	80,0
8	პუასონის კოეფიციენტი, μ	0.42	0,35	0.25
9	ბეტონის გრუნტზე ხახუნის კოეფიციენტი, f	-	-	0.75

შენიშვნა: საანგარიშო მნიშვნელობებში გამოყენებულია შემდეგი საიმედოობის კოეფიციენტები, მზიდუნარიანობის ანგარიშის დროს $\gamma_g(c) = 1,5$, და $\gamma_g(\phi) = 1,15$;

- ბურღვით-ნატენი ხიმინჯების მოსაწყობად გასაბურღი ჭაბურღილების, გრუნტების კლასიფიკაცია ჯგუფების მიხედვით, ბურღვის მეთოდისა და სიძნელის, აგრეთვე

მათი მდგომარეობიდან გამომდინარე, აიღება სნ და წ IV–2–82 ს.ნ. და წ. მე–4 კრებულის 5 და 6 ცხრილებიდან;

- **მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან** აღვნიშნავთ, რომ გამოკვლეულ სიღრმემდე გრუნტის წყალი არ გამოვლენილა;
- **გრუნტის გამონატუტის ქიმიური ანალიზის შედეგად,** საანალიზოდ გადმოცემული გრუნტიდან მომზადდა გამონატუტი, რომლის საერთო მინერალიზაციის სიდიდე 2,96 გ/ლ ტოლია. ქიმიური შედგენილობით სულფატური კალციუმიან-ნატრიუმიან-მაგნიუმიან ტიპს მიეკუთვნება. წყალბად-იონების კონცენტრაციის მაჩვებელით რეაქცია ნეიტრალურია (PH=7.25). გამაჭუჭყიანებელი აზოტოვანი ნაერთებიდან შეიცავს ამონიუმის იონს 0.41 მგ/ლ რაოდენობით.

საანალიზო გრუნტი „ძლიერ“ აგრესიულობას ავლენს ყველა მარკის ბეტონის მიმართ წყალშეღწევადობის მიუხედავად. ამიტომ სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას და ექსპლუატაციის პირობებში აუცილებლად გასათვალისწინებელია აგრესიულობის ხარისხი;

- პნ 01.01-09-ის („სეისმომედეგი მშენებლობა“) თანახმად, ქ.თბილისი მიეკუთვნება 8 ბალიანი სეისმურობის ზონას. ამავე ნორმატიული დოკუმენტის ცხრილი 1-ის თანახმად,სეისმური თვისებების მიხედვით, უბანზე გავრცელებული გრუნტები მიეკუთვნებიან:
  - ა) ნაყარი (ფენა 1) -III კატეგორიას;
  - ბ) თიხნარი, (ფენა 2) - II კატეგორიას;
- სამშენებლო ობიექტის საანგარიშო სეისმურობად განისაზღვროს 8 ბალი, ხოლო მიწისძვრების ტალღების მაქსიმალური ჰორიზონტალური აჩქარების (სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი) მახასიათებელი საკვლევ უბანზე 0,17;
- ქვაბულის, ორმოების და თხრილების ფერდოების მაქსიმალური დასაშვები დახრა, მიღებული იქნეს სნ და წ 3.02.01-87-ის 3.11 და 3.15 პუნქტების, აგრეთვე სნ და წ III-4-80-ის მე-9 თავის მოთხოვნების მიხედვით,

<u>ძირითადი ქანებისთვის – 70^0.</u>

<u>დანარჩენი გრუნტებისთვის</u>

გრუნტის დასახელება	ფერდობის ციცაბო (მისი სიმაღლის შეფარდება და დასაწყისში) გათხრების სიღრმეზე, მ, მეტი აღარ		
	1.5 მეტრი	3,0 მეტრი	5,0 მეტრი
ნაყარი	1:0,67	1:01	1:1,25
თიხა	1:00	1:0,25	1:0,5

- **<u>შენიშვნა:</u>** <u>5 მეტრზე ღრმა ქვაბულის ამოღებისას ან ქანობის მოჭრის შემთხვევაში, უნდა შემუშავდეს ფერდოების გამაგრების პროექტი მთელ პერიმეტრზე (ხიმინჯები, შპუნტები, მთლიანი ნარანდი);**

- დამუშავების სიძნელის მიხედვით, სამშენებლო ნორმებით IV-2-82წ. ცხრ1-1-ის საკვლევი გრუნტები მიეკუთვნება:

ა) ნაყარი (ფენა 1) – სამივე სახეობით (ერთციცხვიანი ექსკა-ვატორით, ბულდოზერით და ხელით) დამუშავებისას – II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1800 კგ/მ3 (რიგ. №24ა);

ბ) თიხა (ფენა 2 და 3) - სამივე სახეობით დამუშავებისას - II ჯგუფს, სიმკვრივით 1880 კგ/მ3 (რიგ. #8ბ);

გ) ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანი (ფენა 2) - ერთციცხვიანი ექსკავატორით და ხელით დამუშავებისას - V ჯგუფს, სიმკვრივით 2000 კგ/მ3 (რიგ. #3ა);

დ) ძირითადი ქანი ნაკლებად გამოფიტული) - ერთციცხვიანი ექსკავატორით და ხელით დამუშავებისას - VI ჯგუფს, სიმკვრივით 2200 კგ/მ3 (რიგ. #3ბ);

- კლიმატის საპროექტო მახასიათებლების ნორმატიული მნიშვნელობები (მაღლივი შენობებისთვი გათვალისწინებული იყოს ქარის უდიდესი სიჩქარე, შესაძლებელი 20 წელიწადში ერთხელ, ქარის გაბატონებული მიმართულება ჩრდილო-დასავლეთის.

ქარის წნევა W_0		ქარის სიჩქარე					ნალექების რაოდენობა		თოვლის დატვირთვა P_0	ჩაყინვის სიღრმე H_f	ზემპერატურის აბსოლუტ. მინიმუმი	ზემპერატურის აბსოლუტ. მაქსიმუმი
ჭ5წ	ჭ15წ	V1	V5	V10	V15	V20	საშ. წლიური	მაქს დღე/ღ				
კგ/სმ^2	კგ/სმ^2	მ/წმ	მ/წმ	მ/წმ	მ/წმ	მ/წმ	მმ	მმ	კგძ/მ^2	სმ	გრად	გრად
73	85	25	29	31	32	33	560	147	50	0	-23	40

ინჟინერ-გეოლოგი: /ზ.ნაზღაიძე/

გამოყენებული ლიტერატურის სია

1. **პნ 01.05-08 დაპროექტების ნორმების - „სამშენებლო კლიმატოლოგია". საქართველოს ეკ. განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/1743, 2008 წლის 25 აგვისტო ქ. თბილისი.**
2. **პნ 02.01-08 სამშენებლო ნორმების და წესების - „შენობების და ნაგებობების ფუძეები". საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/1924, 2008 წლის 17 სექტემბერი ქ. თბილისი.**
3. **პნ 01.01-09 სამშენებლო ნორმების და წესების - „სეისმომედეგი მშენებლობა". საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/2284, 2009 წლის 7 ოქტომბერი ქ. თბილისი.**
4. **დ.ჩხეიძე – საინჟინრო გეოლოგია – გამომცემლობა "განათლება"; 1979**
5. **ე.გამყრელიძე – სტრუქტურული გეოლოგიის მეთოდები – გამომცემლობა "განათლება"; 1979**
6. **ნ.ფოფორაძე – საქართველოს მინერალები და ქანები – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; 2012**

შპს "წყალი და გრუნტი"	**ლაბორატორიული კვლევის შედეგები**	სინჯის აღების თარიღი: 29.12.2022
თბილისი	*ქალაქი თბილისი, ზემო ფონიჭალა, ვირსალაძეს ქუჩა*	*შედგენის თარიღი: 05.01.2023*

#	ჭაბ. №	ნიმუშის №	სიღრმე, მ	ნიმუშის ტიპი: მ-მონოლითი, დ-დამრეული	ბუნებრივი ტენიანობა W, %	ფიზიკური თვისებები												მექანიკური თვისებები		
						პლასტიკურობა			სიმკვრივე, გ/სმ³									ბუნებრივი		
						დენადობის ზღვარი W_L, %	პლასტიკურობის ზღვარი W_P, %	პლასტიკურობის რიცხვი I_p	მინერალური ნაწილის, ρ_s	ბუნებრივი, ρ	ჩონჩხის, ρ_d	ფორიანობა, n %	ფორიანობის კოეფიციენტი, e	სრული ტენტევადობა, W_{sat} %	ტენიანობის ხარისხი, S_r	დენადობის მაჩვენებელი, I_L	თავისუფალი გაჯირჯვება %	ჭრა		დეფორმაციის მოდული E კპა
																		შინაგანი ხახუნის კუთხე,	შეჭიდულობა C კპა	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17		19	20	21
თიხა ყავისფერი, ნაბ. მყარი, მოყვითალო-ყავისფერი თიხის შრეებით და ღორღის სახით ჩანართებით, მარილების ხუდობებით და ჩანაწინწკლებით, ძლიერ კარბონატული (ელუვირებული ქანი)																				
1	1	1.1	4.0	მ	23.4	38.45	19.32	19.13	2.72	1.91	1.55	43.10	0.757	27.84	0.84	0.21	2.34	18.75	52.62	20153
თიხა ღია ყავისფერი, მყარი, თხელი შუა შრეებით და ღორღის სახით ჩანართებით, საშუალოდ კარბონატული (ელუვირებული ქანი)																				
2	1	1.2	7.0	მ	19.8	39.75	20.17	19.58	2.71	1.94	1.62	40.24	0.673	24.85	0.80	-0.02				
თიხა ყავისფერი, ნაბ. მყარი, მოყვითალო-ყავისფერი თიხის შრეებით და ღორღის სახით ჩანართებით, მარილების ხუდობებით და ჩანაწინწკლებით, ძლიერ კარბონატული (ელუვირებული ქანი)																				
3	2	2.1	4.0	მ	23.5	38.35	19.30	19.05	2.72	1.90	1.54	43.01	0.751	27.55	0.83	0.17				
თიხა ყავისფერი, მყარი, ოშვიათად ღორღის სახით ჩანართებით, მარილების თხელი შუაშრეებით, სუსტად კარბონატული (ელუვირებული ქანი)																				
4	3	3.1	4.0	მ	20.0	37.69	20.15	17.54	2.72	1.95	1.63	40.26	0.674	24.77	0.81	-0.01	1.89	19.88	66.25	22322
თიხა ყავისფერი, მყარი, თიხის შრეებით, დაიკვირვება თხელი და საშუალო შრეებრივობა, საშუალოდ კარბონატული (ელუვირებული ქანი)																				
5	3	3.2	8.0	მ	18.5	37.03	19.87	17.16	2.72	1.93	1.63	40.10	0.669	24.61	0.75	-0.08				
